572/3
1950

დილა

„აჰყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ქართველთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო!“

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის

№ 12 დეკემბერი 1950

ვახტანგ ბენუქელი

ნახატი **გრ. ჩარინაშვილისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩევნებზე

კვირა დღეა თუმცა ხვალე,
მაგრამ ადრე მეც ავდგები;
არჩევნებზე წამიყვანე,
წამიყვანე, ჩემო დედი.

იქ დარბაზი დაგვიხვდება
მოწყობილი ნაირფერად,
დიდებიც კი მოუსმენენ
ხმაშეწყობილ ჩვენს სიმღერას...

მე ბავშვებთან ვითამაშებ
და შენ კი ის აირჩიე,
ვისაც ანდობთ ქვეყნის **საქმეს,**
ვინაც უყვარს ყველას ძლიერ...

მიხარია აქ წამოსვლა
უფრო მეტად, იცი, რათა? —

ჩემ საყვარელ მასწავლებელს
ხვალ ირჩევენ დეპუტატად.

მან ხომ იცის ყველაფერი,
პატივსა სცემს იმას ყველა;
კრემლშიაც კი სტუმრებია
იგი ერთხელ ჩვენს დიდ ბელადს.

ჩემს საყვარელ მასწავლებელს, —
ასეთ კარგს და ასეთ სათნოს,
ვინ არ მისცემს საკუთარ ხმას
და ქვეყნის ბედს ვინ არ ანდობს?!

კვირა დღეა თუმცა ხვალე,
მაგრამ ადრე მეც ავდგები;
წამიყვანე არჩევნებზე;
წამიყვანე, ჩემო დედი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანე კოჟედუბი
სამგზის საბჭოთა კავშირის გმირი

თავისუფალი ჩინეთის ბავშვები

5296

ჩვენი ხანგრძლივი საჰაერო მოგზაურობის უკანასკნელი გაჩერება — ულანბატორის აეროდრომი უკან ჩამოვიტოვეთ.

აი, ისიც, ჩინეთი — უძველესი ქვეყანა.

ჩვენს ქვემოდ მოჩანან თიხისაგან ნაშენი პატარა ჩინური სახლები. აქა-იქ გაფანტულან სარწყავი არხების შტოები, წესიერად მოვლილი ბაღები, წყალმიშვებული ბრინჯის ყანები.

სიხარულით შეგვხვდა პეკინი. როგორც კი თვითმფრინავის ძრავის ხმაური მიჩუმდა, ჩვენს შესახვედრად გამოემართნენ ხალხის დიდი ჯგუფები. ყველაზე წინ მორბოდნენ ჩინელი ბავშვები, რომელთაც ხელში ყვავილების დიდი თაიგულები ეჭირათ და მკერდს ალისფერი ყელსახვევები უმშვენებდათ, ისინი ჩინელი პიონერები იყვნენ.

ყვავილების დიდი თაიგულით ხელში ჩემსკენ გამოქანდა ერთი გოგონა და შემომეხვია.

მე ხელში ავიტაცე, მან ხმამაღლა, მხიარული ხმით დაიძახა:

— ვანსუი სტალინ! — გაუმარჯოს სტალინს!

მოვიდნენ მთარგმნელები და გოგონა გავიცანი. მას სახელად ხეინი ერქვა. გავიგე, რომ მამამისიც ჩემსავით მფრინავი ყოფილა. ძალიან დიდხანს იბრძოდა ფრონტზე. არც ხეინი იჯდა თურმე ომის დროს გულხელდაკრეფილი. ბრძოლების შემდეგ ის და მისი მეგობრები ხშირად აგროვებდნენ ტყვიების მასრებს. როცა არმია დიდ გაჭირვებას განიცდიდა, მაშინ ჩინელ პიონერებს თავისი გამხდარი, გაუმაგრებელი მხრებით მიჰქონდათ ფრონტის ხაზზე საბრძოლო საჭურველი და სურსათი.

პეკინში, ჩვენი ჩამოსვლის მეორე დღეს, ქალაქის ერთერთ ცენტრალურ მოედანზე მოეწყო ჩვენი დელეგაციის წევრების შეხვედრა ჩინელ პიონერებთან.

უზარმაზარი მოედანი ბავშვებით იყო სავსე. ერთმანეთში მხიარულად ლაპარაკობდნენ, იცინოდნენ და მღეროდნენ. გვეგონა, ამ მრავალი ათასი ბავშვის დაწყნარება შეუძლებელი იყო. მაგრამ როგორც კი გამოვჩნდით ტრიბუნაზე საბჭოთა დელეგაციის წევრები, აღტაცებული შეხვედრის შემდეგ მყისვე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

ბავშვები ჩვენს ყოველ სიტყვას დიდი ყურადღებით ისმენდნენ.

შემდეგ ჩვენ ჩამოვედით ტრიბუნიდან და პიონერები რკალად გარს შემოგვერტყნენ. მათ შორის იყო ხეინი, რომელიც აეროდრომზე გავიცანი. მისალმებისას მას სახელი დავუძახე. გოგონა ოდნავ გაწითლდა და დიდი გაჭირვებით მითხრა: „გამარჯობათ, ამხანაგო კოჟედუბო!". შემდეგ ის კიდევ უფრო გაწითლდა და მუდარით გადახედა მთარგმნელს. ახალგაზრდა მთარგმნელმა — სტუდენტმა გაიღიმა და თქვა: — ხაო, ხე- ხაო, [1]) ხეინი!

პიონერებმა მანქანებამდე მიგვაცილეს, თითოეულ მათგანს ჩვენთან ახლოს სურდა ყოფილიყო, თითოეულ მათგანს უნდოდა რაიმე ეკითხნა ჩვენთვის. მათ აინტერესებდათ ყველაფერი ის, რაც საბჭოთა კავშირს შეეხებოდა. ისინი გვეკითხებოდნენ, თუ როგორ სწავლობენ ჩვენი პიონერები, როგორ ისვენებენ. უნდა ითქვას, რომ ჩინელი პიონერები თითქმის ყველანი კარგად სწავლობენ.

გამომშვიდობებისას ხეინიმ აიღო ქაღალდის ფურცელი, ფუნჯი მელანში ჩაყო და დიდი სიფაქიზით დაიწყო ასოების გამოყვანა, დაწერა რუსულად „სტალინი". შემდეგ მე მომიბრუნდა და მთარგმნელის მეშვეობით გადმომცა, რომ, როცა ის დიდი გაიზრდება, უეჭველად ისწავლის რუსულ ენას და ჩამოვა ჩვენთან, საბჭოთა კავშირში.

[1]) კარგია, ძალიან კარგი.

ჩინეთში ერთი თვე დავყავით. ვინახულეთ ამ უზარმაზარი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეები.

ვნახეთ ჩინეთის უძველესი დედაქალაქი პეკინი — მისი ზღაპრული სილამაზის ტაძრები, გასაოცარი ხუროთმოძღვრებით ნაშენები კოშკები და ხელოვნური ტბები.

ვნახეთ მრავალსართულიანი შენობების ქალაქი ტიანძინი.

კიდევ ბევრი ქალაქი და სოფელი ვნახეთ, მაგრამ ამით კი არ გაგვაოცა ჩინეთმა; მან ჩვენ გაგვაოცა თავისი შრომისმოყვარეობითა და გულმხიარულებით. ყველა აქ ხალისიან შრომას ეწევა: პროფესორი, კალატოზი, გენერალი, გლეხის შვილი, სტუდენტი და პიონერი.

შანხაიში ვნახეთ ჩინეთის სახალხო არმიის ჯარისკაცები. მზით დამწვარი, ნათელი, ვაჟკაცური, სერიოზული სახეებით, — ისინი მიდიოდნენ ფართო მწყობრით და მღეროდნენ სიმღერას სტალინზე".

და აი, კვლავ პეკინის აეროდრომი. ვბრუნდებით უკან — საბჭოთა კავშირში. გვაცილებენ ჩვენი მეგობრები — ჩინელი ამხანაგები. კვლავ, როგორც პირველ შეხვედრისას წინ დგანან პიონერები. ბევრ მათგანს მტრედი უჭირავს ხელში. მტრედი ხომ მშვიდობის სიმბოლოა.

უეცრად ვიღაც მწვდა სახელოში. მოვიხედე, ჩემს წინ ხეინი იდგა. ხელში მას მტრედი ეჭირა, მტრედს კისერზე ჰქონდა ხელითნაკეთები რგოლი — ქაღალდით, რომელზედაც ბავშვური ხელით რუსულად და ჩინურად ეწერა: „სტალინი — მშვიდობაა!", „მაო-ძე-დუნი — მშვიდობაა!".

შემდეგ გოგონამ ააფრინა მტრედი. ხეინის მტრედს შეუერთდა რამდენიმე ათეული მტრედი, რომელსაც აფრენდნენ პიონერები უფროსებისა და ბავშვების საერთო შეძახილებით:

— გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!

— გაუმარჯოს მშვიდობას!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხუბა ბერულავა

ნახატი **ვერა ბელეცკაიასი**

არა, არა ვარ პატარა!

დედი, გაფიცებ ბებიკოს
და შენს უტკბილეს დედობას.
ჩემი ძმა წითელ ყელსახვევს
რად არის. რომ არ მენდობა?
მე თვითონ ვუვლი წიწილებს,
მე თვითონ ვრეცხავ საინებს,
თვითონ ვრთავ დედოფალასა,
თვითონ ვგვი ცოცხით აივნებს.
ვეთამაშები ბაბუას,
ბებიას თავზე ვევლები,
თმები სულ დავარცხნილი მაქვს,
მუდამ სუფთა მაქვს ხელები.
სტუმარს შორიდან რომ ვნახავ,
იმ წუთში ფეხზე ავდგები.
როცა უფროსი ბაასობს,
მე მყისვე გავინაბები.
მაშ რად ვგონივარ ძამიკოს
აკვნის ბავშვივით პატარა?
არ შემიძლია იმისი
ამდენ დაცინვის ატანა.
— შენ რა იცი. მზეონა!—
განა არ ვიცი, კეთილო,
შენგან, მამისგან ნასწავლი
ბევრი რამ ვიცი, დედილო.
საბავშვო ბალში ნასწავლი
გგონია დამავიწყდება?!
ის კი, წიგნს როცა ავიღებ,
მიწყრება, აბა, მიწყრება!
გეთაყვა, ბევრი ამბავი
მინდა მოგიყვე წვრილწვრილად.
...ვიცი. ოცდაერთ დეკემბერს,
სამოცდათერთმეტ წლის წინად.
რომ დაიბადა სტალინი,
სამშობლოს გამხარებელი,
მთელი მსოფლიოს მშრომელთა
მამა და მასწავლებელი,
ვისაც იმედით შევჰყურებთ,
ვით დიად ბედნიერებას,
ვინც ნერგავს ხალხთა მშვიდობას
და იცავს ქვეყნიერებას!
მე კარგად ვიცი რას ამბობს.
ძია ლავრენტი ბერია,
მე მახსოვს მისი სიტყვები.
რაც ჩვენთვის დაუწერია.
ძვირფასი ძია ბერია,
ასე ასწავლის პატარებს:
— დიდი სტალინის სახელი
გულში იმედათ ატარეთ!
ის არის თქვენი მზრუნველი,
ის თქვენი მეგობარია,
მისი მზიური ღიმილი
ჩვენი სამშობლოს დარია.
გიყვარდეთ დიდი სტალინი.
იყავით სტალინელები,
და გახდით ხვალინდელი დღის
მშენებლები და მცველები!
..მე ვსწავლობ ყველა სიმღერას,
ქვეყნად სტალინზე რაც თქმულა—
თუნდაც ვიმღერებ რუსულად,
თუნდაც ვიმღერებ ქართულად.
და ამის მერეც, დედიკო,
რად არა გჯერათ, რად არა,
მე უკვე ჩვიდი არა ვარ,
არა ვარ მეთქი პატარა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახატი **ალ. ბანძელაძისა**

გიორგი შაბერაშვილი

ჩხირკედელა

პატარა დათოს პაპა-ვანომ მეტსახელად ჩხირკედელა დაარქვა.

დათო მართლაც მოუსვენარი ბიჭი იყო: გაკვეთილებს დაამზადებდა თუ არა, ხელში ჯიბის დანას ან პატარა ჩაქუჩს აიღებდა, აივანზე გავიდოდა, თავის კუთხეში დაჯდებოდა და თავისუფლად მუდამ რაღაცას აკეთებდა, რაღაცას ჩაჰკირკიტებდა. მის ირგვლივ ეზოში ან სოფლის შარაზე ნაპოვნი მავთულის ნაწყვეტები, წვრილი ლურსმნები, მრავალნაირი ხრახნილები და ბურბუშელა ეყარა.

პაპა ვანომ ძალიან კარგად იცოდა, რომ მისი ბეჯითი შვილიშვილი მცირე ხნის შემდეგ ან ასკილის ძირისაგან გამოთლილ სტვირს აარაკრაკებდა, ან რკინის ბორბალს ააგრუხუნებდა აივანზე, მაგრამ მაინც ეკითხებოდა:

— ჩხირკედელავ, აბა რას აკეთებ?: ადე, ტოლებში გაერიე, ითამაშე!

დათოს გულში სწყინდა, ჩხირკედელას რომ ეძახდნენ. სწყინდა ისიც, რომ მის საყვარელ საქმეს მასხარად იგდებდნენ, მაგრამ ჩვეულებას მაინც არ ღალატობდა, თავის ქონებას დღითიდღე თითო რამეს უმატებდა.—აივნის ბოლოში ფაქიზად მილაგებულ სათამაშოებს შორის საპატიო ადგილი ეჭირა ქალაქიდან ჩამოტანილ კონსტრუქტორს. მრავალი რამ ააწყო და ააშენა ამ კონსტრუქტორის დახმარებით, მაგრამ დათოს ყველაფერს მაინც თავისი ხელით გაკეთებული სათამაშოები ერჩივნა, ყოველდღე ამაყად ათვალიერებდა თავის კუთხეს ბიჭი და უხაროდა, რომ მარჯვე ხელი ჰქონდა.

ერთი კვირის წინ პაპა-ვანოს ჩიბუხის მილში რაღაც გაეჭედა.

დიდხანს ეწვალა მოხუცი—ხან წინდისჩხირი სთხოვა დიდედას, ხან შინდისჩხირი გათალა, მაგრამ ვერაფერს გახდა: შინდისჩხირი ტყდებოდა, წინდისჩხირი იღუნებოდა. პაპა გაბრაზდა, საყვარელი ჩიბუხი ტახტზე მიაგდო და ოთახიდან გავიდა.

დათომ გაიღიმა, პაპის ჩიბუხი შეუმჩნევლად თავის სახელოსნოში გაიტანა და დიდი ხნის წვალების შემდეგ ჩიბუხის მილიდან ყურძნის კურკა გამოაგდო. დათომ გამჭვარ-

ტლული ყურძნის კურკა ხელისგულზე დაიდო და პაპას სიცილით მიუბრუნდა.

ერთმა ამბავმა მალე მთელ სოფელში გაუთქვა სახელი პატარა დათოს.

ერთხელ დათო თავის კუთხეში იჯდა და პატარა საბარგო ავტომანქანას აკეთებდა. აივანზე მეზობლის ბიჭმა თედომ ქაქანით ამოირბინა.

თედო ენამწარე, კვიმატი ბიჭი იყო, ამიტომ დათოს არ ესიამოვნა მისი დანახვა და ხმადაბლა ჰკითხა:

— რა გინდა?..

თედომ პასუხი არ ჭასცა. აივანზე დადიოდა, გაშლილ რკინის ნაჭრებს და ათასგვარ ნივთებს ათვალიერებდა. ერთიორჯერ დათოს მანქანასაც კი წამოჰკრა ფეხი.

— რა გინდა მეთქი, რას დაეძებ?—ახლა კი წყენით ჰკითხა დათომ და მანქანა განზე გადასდო.

— დათო, იცი რა?..—ალერსიანი ხმით დაიწყო თედომ.

დათომ გაკვირვებით აჰხედა ამხანაგს. თედო მას ყოველთვის დასცინოდა და სახელის მაგივრად პაპა-ვანოსავით ერთთავად ჩხირკედელას ეძახდა.

— იცი რა, დათო,—გააგრძელა თედომ— აი, ასეთი ხრახნილი ხომ არ გექნება?

დათომ ახლა შეამჩნია, რომ თედოს ხელში პატარა ხრახნილი ეჭირა. ხრახნილი მაშინვე გამოართვა, დაათვალიერა, გაზომა.

— მერე, რა გინდა, რომ მაქვს?

— მართლა გაქვს?.. შენი ჭირიმე, უნდა მომცე!

— აი, ნახე, მანქანის ბორბალშია დატანებული, შენ რომ მოგცე, მე რაღა ვქნა, მანქანა როგორღა გავმართო?!

თედომ მანქანას დახედა და ხელი უნებურად წაატანა. დათომ მანქანა თავისკენ მისწია.

— თავი დაანებე... მაინც რად გინდა?.

— იცი, დათო, ძია მიხოს ტრაქტორი მოეშალა, ხრახნილი გასტეხია, სწორედ ასეთი ხრახნილი სჭირდება და ვერ უშოვნია— დილასაქეთ ტრაქტორი გაჩერებულია.

დათო ჩაფიქრდა... ერთი კვირაა ეწვალება, ამ პატარა, ლამაზ მანქანას აკეთებს... აი, მანქანა თითქმის მზად არის, ხვალ თუ არა, ზეგ მაინც სკოლაში უნდა მიიტანოს გამოფენაზე გასაგზავნად და ჰხედავთ, რას ეუბნებიან?!

მაგრამ ტრაქტორი რომ დგას, სოფლის მიწები მოუხნავი რომ რჩება. ესეც არ იყოს; ძია მიხო ძალიან კარგი კაცია, გაუხარდება ხრახნილი რომ დაუთმოს.

— კარგი!—წამოიძახა დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ დათომ და ბორბლის დაშლას შეუდგა.

რამდენიმე წუთის შემდეგ დათო და თედო გაჩერებულ ტრაქტორთან გამოჩნდნენ. ტრაქტორის ირგვლივ კოლმეურნეები შეყრილიყვნენ და გზას გასცქეროდნენ. სატრაქტორო სადგურში გაგზავნილი კაცი იგვიანებდა. ძია მიხოს ტანისამოსი გამოეცვალა, ცხენზე შემჯდარიყო და აპირებდა წასვლას ხრახნილის მოსატანად.

ბიჭებმა მიხოსთან მიირბინეს და ხრახნილები მიუტანეს. მიხომ დათოს ხრახნილი დაათვალიერა და თვალები გაუბრწყინდა.

— სად იშოვე?—ჰკითხა მან თედოს. თედომ გაიღიმა.

— მე კი არა, აი ამას... დათოს ჰქონდა!..

— ყოჩაღ, ჩხირკედელავ, ყოჩაღ, ნამდვილი ოსტატი ყოფილხარ!—გაიცინა ძია მიხომ, ცხენიდან ჩამოხტა და ტრაქტორის ქვეშ შეძვრა.

ორი-სამი წუთის შემდეგ მანქანა ახმაურდა, აგუგუნდა და ადგილიდან დაიძრა.

„მართალია ჩემი ავტომანქანა ვერ გავმართე, მაგრამ უფრო კარგი საქმე გავაკეთე, ტრაქტორი ავამუშავე“. ფიქრობდა დათო და გახარებული, გლეხებთან მდგარი, ამაყად გაჰყურებდა აგუგუნებულ ტრაქტორს, რომელიც ბარაქიანად ხნავდა შავ, ყამირ მიწას.

ილია სიხარულიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაძვის ხესთან

პიესა ერთ სურათად

მონაწილენი: ბავშვები, თოვლის პაპა და ნაძვის ხე

(დარბაზში ბავშვები ნაძვის ხეს რთავენ და მღერიან. იქვე, ნაძვის ქვეშ თოვლის პაპა დგას).

ბავშვები

იდღეგრძელოს, გაიხაროს,
ნაძვო, ვინც აქ მოგიტანა!
საყვარელო, სასურველო,
სხვა ჩვენსავით მოგრთავს განა?!
რა კარგია, რომ გვეწვიე,
ჩამოხვედი მთიდან ბარად.
ნაძვის ხეო, მოგვიყევი,
ჩვენთან ვინ რა დაგაბარა?!

ნაძვის ხე

ახალი წლის მოსალოცად
ჩამოვედი ბარში მთიდან;
თქვენი ნახვა მომენატრა,
ტყეში გული არ მიცდიდა,
თორემ, ისე, თოვლ-ყინვაში
ნაძვებს ტყეში სულ არ გვიჭირს!
სალამს გითვლით, მალხაზებო,
ვერხვი, ნაძვი, სოჭი, ფიჭვი!
ასე მითხრეს: „კვლავ გვესტუმრეთ,
მოგვენატრეთ პატარები!
თქვენ ხომ შარშან ჩვენს უბანში
ზაფხულს ტკბილად ატარებდით?
ჰოდა, კიდევ გვეწვიეთო!“
ყველამ ასე დამაბარა!

ბავშვები

ზაფხულში კვლავ ვესტუმრებით,
რომ დაგვცხება ძლიერ ბარად:
მაგრამ თოვლში თავის დღეში
არ ვყოფილვართ ჯერ ჩვენ ტყეში!
თოვლის პაპავ, თქვი: ზამთარი
თქვენთან, მთაშიც, კარგი არის?

თოვლის პაპა

პატარებო! მე იქიდან
ჩამოვედი, ჰა, ახლახან!
რაც ამბავი იქა ვნახე,
ჰე, ნეტავი თქვენც განახათ!
ულრან ტყეში ხე, ჩირგვები
ღრმა თოვლშია ჩაფუმფლული.
კურდღლებს, ციყვებს, ნაძვის ხესთან
გაუმართავთ წრე-ფერხული.
შველი, მელა, ყველა, ყველა,
ცეკვავს, ხტუნავს, ფერხულს უვლის,
დათუნია მაღალ თოვლში
ბუქნაობს და კოტრიალობს,
ჩიტუნებიც შეკრებილან,
ჩხიკვი დახტის, ცეკვას სწავლობს!

ბავშვები

გმადლობთ, გმადლობთ, ნაძვის ხეო,
რომ გვეწვიე და რომ გვნახე!
თოვლის პაპავ, შენც ღიმილით
გაგბადვრია თეთრი სახე.
აბა, ახლა დავუაროთ
და ფერხული გავაჩაღოთ;
ვიცეკვოთ და ლექსებიც ვთქვათ,
სიმღერებიც შემოვძახოთ.
ჩვენი ლხენა, ჟრიამული,
დარბაზის ჭერს მაღლა ასწევს;
დღეგრძელობა თოვლის პაპას,
გაუმარჯოს ჩვენს ახალ წელს!



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მურმან ლებანიძე

ნახატი ი. სუხიშვილისა

სატრაქტორო სადგური

ჩაიარა შემოდგომამ,
სადაც არის მოთოვს.
ვერცხლისფერი რთვიღი ადევს
წითელ-ყვითელ ფოთოლს.
იწვის შეშა, და ღულუნი
გააქვს ტკბილად ბუხარს.
ეყვინთება ხატაურას,
ეყვინთება ცუგას.
ეყვინთება სავსე საბძლებს
და საბძლებში ჩიტებს,
სძინავს ბელელს და ყველამდე
სავსე სასიმინდეს.
სძინავს ყოველს,
ოლონდ ფარდულს
ჭალისპირზე ჩადგმულს
არა სძინავს—ჩვენი სოფლის
სატრაქტორო სადგურს.

ერთი გრძელი ფარდული გვაქვს
სოფლის განაპირას:
იმ ფარდულში ტრაქტორები
გვიყენია მწკრივად.
„ტაკ-ტუკ! ტიკ-ტაკ!“—
გრდემლზე სჭედენ რკინას...
ზამთარ-ზაფხულ სატრაქტორო
სადგურს არა სძინავს.

სკოლის შემდეგ გზად ვეწვევით
ფარდულს ყმაწვილები.
გვსურს გავიცნოთ რკინის „ხარის“
ყველა ნაწილები.
გარს ვეხვევით მეგობრები
ჩემს ძამიკო უჩას,—
მთელ სოფელში სანაქებო
კომკავშირელ შუშას;

ტრაქტორს ძრავი გაუფუჭდა,—
თავს ახდის და ნახავს,
სადმე ჭანჭიკს დაუწუნებს,
ახალს გამოჩარხავს.
ხან ზემოდან ჩაჭკირკიტებს,
ხან შეძვრება ქვემოთ...
ვდგავართ დიდხანს და ვუყურებთ
ტრაქტორების რემონტს.

ვდგავართ დიდხანს,
მერე სახლებს
მივაშურებთ ხელად;
საშინაო დავალებას
დავამზადებთ ყველა,
დავუძახებთ ოქტომბრელებს,
და უმცროსი და-ძმით
კოლექტივის დიდ ბელელში
წავა ჩვენი რაზმი.
იქ ვუსხედვართ ვახშმობამდე
ირგვლივ ხორბლის გორას,
და სათესლე მარცვალს ვარჩევთ
შინდის კურკის ტოლას.

ჩაიარა შემოდგომამ,
სადაც არის მოთოვს.
ვერცხლისფერი რთვიღი ადევს
წითელ-ყვითელ ფოთოლს.
სძინავთ ბელლებს და მადლიან
კოლექტივის ყანებს,
სძინავთ ყანებს და ხედავენ
სიზმრად რკინის „ხარებს.“
სატრაქტორო სადგურიდან
ყურს მოჰკრავენ გუგუნს
და ნატრობენ გაზაფხულს და
ბუგულების „გუგუს“.

ქალაქების გაგაასება

ნახატები ვ. ტოროგაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ო რ ი

ხალხმა ძლიერ შემიყვარა
და იმისთვის მცა თაყვანი,
ბედნიერი დედის ხელით
რომ ვარწიე ყრმის აკვანი!

ყველას უნდა მინახულოს,
გადაავლოს ციხეს თვალი,
რადგან ხალხებს ჩემმა შვილმა
გაუნათა მომავალი.

ლენინგრადი

სამხრეთელო ქალაქებო,
მოიხედეთ ახლა აქეთ:
აქ იბრძოდა ოქტომბერში
ორი დიდი მოქალაქე!

აქ გადაწყდა თქვენი ბედი—
ბედნიერნი ახლა თუ ხართ,
იმიტომ, რომ ხალხთან ერთად
აქ „ავრორამ“ დაიქუხა!

თ ბ ი ლ ი ს ი

მგნატრება იმის ნახვა!
ჩემი ფიქრი თავს ეელება.
აქ ჰაბუქმა გულს ჩაიდო
ჩაგრულ ხალხთა შეერთება!

ჩემთან იყო! მე არ მახსოვს
მისგან წუთი გაცდენილი,
აქ პირველად მოინატრა,
რომ ენახა მას ლენინი!

მ ო ს კ ო ვ ი

არასოდეს
არ ვყოფილვარ
მე ესოდენ
მშვენიერი!
მე ბელადმა
მომანიჭა
ეს ცხოვრება
ბედნიერი!

ის ხომ ჩემთან
დავაჟკაცდა!
ჩემთან არის
ბრძენთა-ბრძენი!
მე ვდარაჯობ
მის სიმშვიდეს—
ის მფარველი
არის ჩვენი!

ს ტ ა ლ ი ნ გ რ ა დ ი

იმის სახელს მეც ვატარებ
და ამით ვარ ბედნიერი!
იმის გეგმით გავიმარჯვე,
დავამარცხე ხალხთა მტერი!

ჩემსკენ არის მოპყრობილი
ჩვენი ქვეყნის გულისყური:
დამამშვენებს, გამანათებს
უდიდესი ელსადგური!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევიკო და გურთი

ნინო ნაკაშიძე

ნახატები გ. როინიშვილისა

მანგლისში

უკვე ერთი კვირაა საბავშვო ბაღის აღსაზრდელები მანგლისში არიან. დილით ზარის წკრიალზე ბავშვები თავს წამოჰყოფენ.

— ზარი დარეკეს...

— ავდგეთ, ავდგეთ!

— ვივარჯიშოთ! — გაისმის დევიკოს, ნანულის, ნოდარის და სხვების ერიამული.

— ჩქარა ჩავიცვათ, — გაიძახიან ბავშვები და სასწრაფოდ იცვამენ ტანზე.

— აი, ჩემი პირსახოცი, ჩემი კბილის ჯაგრი, ჩემი საპონი! — თქვა დევიკომ და გაიქცა პირისაბანისკენ. ხელპირი დაიბანა, კბილები ჯაგრით გამოირეცხა, სახე პირსახოცით გაიმშრალა, და გაიქცა ელისო მასწავლებელთან.

ჩაის შემდეგ ბავშვები გავიდნენ მშვენიერ მწვანე ეზოში, ითამაშეს, იცეკვეს და იმღერეს.

— აბა, ახლა დაისვენეთ. დღეს, საუზმის შემდეგ ტყეში უნდა წავიდეთ! — უთხრა მათ ელისო მასწავლებელმა.

ტყე სულ ახლოს იყო. უზარმაზარი ნაძვები და ფიჭვები იყურებოდნენ დასაძინებელ ოთახშიც, სასადილოშიც და ეზოშიც. ბავშვებს ძლიერ უნდოდათ იქ წასვლა.

— დეიდა ელისო, ტყეში მგელი არის? — იკითხა ნელიკომ.

— მე არ მეშინია მგლისა, მოვკლავ, თოფი მაქვს! — თქვა დევიკომ.

— მე შვილდისარი მაქვს, — დაიძახა ნოდარმა.

— მე კი ხანჯალი მაქვს. დავკრავ მგელს და მოვკლავ, — დაუმატა ნანულომ.

— აბა, მგელი რას დაგვაკლებს, თუ ამდენი მონადირე გვყავს?! — გაიცინა დეიდა ელისომ.

საუზმის შემდეგ ბავშვების ჯგუფი ტყეში გაემართა. წინ მიდიოდნენ შეიარაღებული ბავშვები. დევიკოს თოფი გადაეკიდა მხარზე, ნოდარს ხელში დაჭიმული შვილდისარი ეჭირა, ნანულის მაღლა მოეღერებინა ხისაგან გამოთლილი ხანჯალი.

— მე ვიცი, რომ მგელი ცხოვრობს ამ ტყეში. ბაბო მასწავლებლის ჯგუფის ერთმა ბიჭმა მითხრა, — გადაუჩურჩულა ბავშვებს ნოდარმა.

— აბა, ბავშვებო, ახლა ირბინეთ, ითამაშეთ! — თქვა ელისო მასწავლებელმა და დაჯდა დიდი ფიჭვის ძირას.

— არა, დეიდა ელისო, ჯერ მგელს მოვკლავთ!

— ამ ტყეში, ბავშვებო, მგელი არ არის. ნუ გეშინიათ!

— არის, მე დავინახე, — შესძახა ნელიმ.

— მაშ მოკალით, — გაიცინა ელისო მასწავლებელმა.

მართლაც შორს დაინახეს, რომ იწვა წითური მგელი, ენა გადმოეგდო და ქშინავდა.

— გავიქცეთ, მოვკლათ! — შესძახეს მონადირეებმა და გაიქცნენ მგლისაკენ. მათ გამოუდგნენ ყიჟინით დანარჩენი ბავშვები. მიუახლოვდნენ, თუ არა, უცებ ადგა და კუდის ქნევით გამოიქცა ბავშვებისაკენ.

— უი, ეს ჩვენი დარაჯის ძაღლი ბუმბლია ყოფილა, ჩვენ კი მგელი გვეგონა! — შესძახა ყველამ ერთხმად და სიცილი ასტეხეს.

— აი, მოვიყვანეთ მგელი, დეიდა ელისო! — ხარხარებდნენ ბავშვები.

ნელის და დევიკოს აქეთ-იქიდან ჩაეკიდათ ხელი ძაღლის საყელურში და მოჰყავდათ.

დეიდა ელისომ გაიცინა, თავზე ხელი გადაუსვა გულად მონადირეებს და ძაღლსაც მიეფერა.

ბურთი დაბრუნდა დევიკოსთან

ის იყო ბავშვებმა გაათავეს საუზმე, რომ ნანა-გამდელმა უთხრა დევიკოს:

— დევიკო, დედაშენი მოვიდა!

დევიკო მაშინვე გაექანა დედისაკენ, რომელიც ეზოში იჯდა.

— ჩემო დედიკო! — დაიყვირა დევიკომ, მაგრამ უცებ შეჩერდა და სიხარულით შესძახა: — ჩემი ბურთი, ჩემი ბურთი მოვიდა! — საჩქაროდ მივარდა დედას, გამოართვა ბურთი ხელიდან და გაიქცა ბავშვებისაკენ.

— ნელიკო, თენგიზ, დეიდა ელისო! ხედავთ, მე რომ კარგი ბიჭი ვიყავი, ბურთი დამიბრუნდა. ნახეთ, ახლა როგორ დახტის! — და ბურთი დაჰკრა მიწაზე. ბურთი შეხტა მაღლა, ოჰ, რა მაღლა ავარდა! ერთ წუთს კიდეც შეეშინდა დევიკოს, ისე მაღლა რომ ავიდა, ისევ არ გაიქცესო, მაგრამ ბურთი დაბრუნდა ძირს. თენგიზმა დაიჭირა და ნიკოს გადაუგდო.

— დედას არ უნდა აკოცო? — დაიჭირა დედამ დევიკო. დევიკომ მოჰხვია ხელები დედას კისერზე და დაუწყო კოცნა.

— დედიკო, მე რომ კარგი ბიჭი ვიყავი, ბურთი იმიტომ დამიბრუნდა? ჩემთან დარჩება?

— აი, ვნახოთ, რას იტყვის ელისო მასწავლებელი, თუ მართლა კარგი ბიჭი იყავი, დარჩება; თუ არა და...

— არა, დედიკო, დარჩება ბურთი, დარჩება! ხედავ, როგორ გაეხარდა ჩემთან მოსვლა? ხედავ, როგორ თამაშობს ჩემს ამხანაგებთან?!.

— დევიკო ძალიან კარგი ბიჭია, — უთხრა დეიდა ელისომ დედიკოს. — არავის აჯავრებს, არც ტირის, წვენსაც ჭამს, კაკაოს და რძესაც სვამს. კბილებსაც იწმენდს ჯაგრით. რასაკვირველია, არც არავის აფურთხებს...

— მე ახლავე ვკითხავ ბურთს, დარჩება თუ არა ჩემთან. — თქვა დევიკომ, გაიქცა, მოიტანა ბურთი, ორივე ხელით ასწია მაღლა და ხმამაღლა ჰკითხა:

— ბურთო, ლამაზო ბურთო, ხომ დარჩები დევიკოსთან? — მერე ცოტა შეჩერდა, პირი იქით მიიბრუნა და ძალიან წვრილი ხმით თვითონვე უპასუხა: — ჰოო-ჰოო! აი, ხედავ, რჩება: ჰოო — თქვა. — აკოცა დედას დევიკომ, წაიღო ბურთი და ისევ გაიქცა ბავშვებთან სათამაშოდ.

დედა და დეიდა ელისო იცინოდნენ. საღამოს, დედა სახლში რომ წავიდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევიკოს ისე ეწყინა, რომ უნდოდა ატირებულიყო, მაგრამ შეხედა ბურთს, ბავშვებს, მივიდა დეიდა ელისოსთან და უთხრა:

— ხომ არ ვიტირე, დეიდა ელისო?

— არა, დევიკო, შენ ხომ კარგი ბიჭი ხარ და განა კარგმა ბიჭმა უნდა იტიროს? დედა კიდევ ჩამოვა!

— ჩამოვა, — ჰოო?

— ჩამოვა. აბა, ახლა გაიქეცი, შენც იმღერე, გესმის, როგორ მღერიან შენი ამხანაგები?

— მეც ვიმღერებ, ხომ ვიცი სიმღერა — წამოიძახა დევიკომ და სიმღერით გაიქცა ბავშვებისაკენ.

უშიშარი მარიამი

— მარიამ, წადი, საკუჭნაოდან რამდენიმე ცალი კართოფილი ამომიტანე, — გასძახა დედამ სამზარეულოდან.

მარიამმა წარბები შეხარა და ტუჩები მოპრუწა. საკუჭნაოში მარტოკა წასვლა არ უყვარდა, თაგვების ეშინოდა, მაგრამ არ უნდოდა თავის შიშის გამხელა.

ნუთუ არ რცხვენოდა, რომ 8 წლის ვეება გოგოს თაგვებისა ეშინოდა?

მარიამმა გასაღები აიღო და წავიდა.

მან ჯერ მძლავრად ჰკრა ფეხი კარებს, მერე ჩხარუნით გასაღები კლიტეში ჩადო, რომ თაგვებს გაეგოთ და გაქცეულიყვნენ. დიდი ხმაურით გააღო კარები, კალათი შიგ შეაგდო და ხმამაღლა წამოიყვირა „ფიშტ, ფიშტ!“, სწრაფად შიგ შეირბინა, თვითონაც არ ახსოვს, თუ როგორ ჩაყარა კართოფილი კალათაში და გარეთ გამოვარდა. მერე სირბილით მივიდა სამზარეულოში, კალათი დედასთან დადო და ამაყად უთხრა:

— მოგიტანე, დედიკო!

მაგრამ, ჩვენში დარჩეს, და შიშისაგან მარიამს საკუჭნაო ღია დარჩენოდა.

სომხურიდან თარგმნა **ლ. ახტვაცატუროვმა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანა ხახუჯაშვილი

გოგიმ მოილხინა

დიდ დარბაზში ჟრიამული იდგა. ნაძვის ხე მრავალფერ სათამაშოებით, ბრჭყვიალა მძივებით და ფერადი ელნათურებით ბრწყინავდა. ნაძვის ხის ქვეშ თოვლის ბაბუა ჯოხით ხელში ამაყად იდგა; მეორე კი, დიდი, გრძელწვერებიანი ცოცხალი ბაბუა, მალალი ყავარჯნით ბავშვებთან ერთად ნაძვის ხის გარშემო ცეკვავდა და ყველას აცეკვებდა.

— ჩვენ ახლა ვითომ დათვები ვართ, ტყეში დავდივართ და გემრიელ თაფლს ვეძებთ პირის ჩასატკბარუნებლად. აი, ასე, აბა, მომყეთ!

თოვლის ბაბუა ჩაცუცქდა და სასაცილოდ აძუნძულდა, ბავშვებიც მიჰყვნენ ბაჯბაჯით.

— ახლა კურდღლები ვართ, ბოსტანში მივცუნცულებთ კომბოსტოსა და სტაფილოს ჩასაკნატუნებლად!—მხიარულმა თოვლის ბაბუამ სალოკი თითები ყურებივით საფეთქლებთან მიიდო და მძიმე ბაჯბაჯი ხტუნაობით შესცვალა. დარბაზი ახმაურდა სიცილ-კისკისით, ისეთი სკუპ-სკუპით დახტოდნენ ნაძვის ხის გარშემო ცელქები.

ახლა კი ვეღარ მოითმინა პატარა გოგიმ. დედის კალთიდან უცბად ისკუპა და თვალის დახამხამებაზე თოვლის ბაბუასთან გაჩნდა. გაშალა ხელი, ჯერ ერთი-ორჯერ ჩაბუქნა, მერე გაქანდა და დახრილ თოვლის ბაბუას ზურგზე სწრაფად შეასკუპდა. სიცილ-კისკისი გაძლიერდა, თოვლის ბაბუამ ცალი ხელი ზურგისაკენ წაიღო, ბავშვი მაგრად დაიჭირა, რომ არ ჩამოვარდნილიყო და ზეზე წამოდგა.

— აი, ჩემო ბაჭიებო, ეს ის ჭიამაია არის, რომელიც ჩვენს ბოსტანში შემოფრინდა, რა ვუყოთ ამას?

— სახლში წავიყვანოთ! არა, გავაფრინოთ!—შეუძახეს ბავშვებმა.

— არა, ბავშვებო, ჯერ ნუ გავაფრენთ ამ ჭია-მაიამ უთუოდ სიმღერა იცის და ვამღეროთ!

თოვლის ბაბუამ გოგი ზურგიდან

გულთან მიიზიდა, მერე ორივე ხელით მაღლა ასწია და უთხრა: აბა, ახლა შენი ჯერია და იმღერეო. გოგისაც ეს უნდოდა, მაყურებელთა რიგებში დედის კალთაში რომ იჯდა, ძლიერ ჯავრობდა: რატომ მე არ მამღერებენ, ლექსებს არ მათქმევინებენო. რაკი არავინ გაიპატიჟა, ადგა და თვითონ მოჰყვა ლექსების თქმას, თავს ტაშითაც აჯილდოვებდა, მაგრამ მაშინ არავის ყურადღება არ მიუქცევია. ახლა კი, როცა თოვლის ბაბუამ ყველაზე მაღლა აიყვანა, ბავშვმა რაც კი იცოდა, ყველა ლექსი თქვა, ემღერა სიმღერაც გაბედულად შემოსძახა. შემდეგ მუჭიდან ორი თითი გამოშალა და ბავშვებს ამაყად გადმოსძახა:

აი, მე ამდენი წლისა ვარ, და დედამ გრძელი შარვალი იმიტომ შემიკერაო!

გოგიმ ლექსების თქმა დაამთავრა, მერე ძირს ჩამოსვლა მოითხოვა, ხელები ააწკაპუნა და სიხარულით დედისაკენ გაქანდა.

როგორ მოატყუა მამალმა მელა

ლატვიური ხალხური ზღაპარი

იყო ერთი დედაბერი, რომელსაც ელამი და მხარმონგრეული მამალი ჰყავდა. ქვეყანაზე ვერსად ნახავდით ისეთ აბეზარსა და ყოყლოჩინა მამალს.

მამალი თავის ეზოში არავის ეჩხუბებოდა, სულ სხვის ეზოებზე ეჭირა თვალი. დაინახავდა თუ არა წიწილას,—გაეკიდებოდა; ხან რომელიმე ქათამს დაეტაკებოდა, ხოლო თუ სხვა მამალს დაინახავდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას გაუმართავდა.

თვითონ ყველას ეჩხუბებოდა ელამი, მაგრამ თუ კი ვინმე გაბედავდა და მიუახლოვდებოდა ალიაქოთსა და ყვირილს ასტეხდა:

— ხელი არ მახლოთ, ახლოს არ მომეკაროთ! თქვენი ეზოდან კი არა ვარ, დედაბრის მამალი ვარ!— დაიყვირებდა და გასწევდა დედაბრის ქოხისაკენ. დედაბერსაც გაუწყალა გული მამალმა. ყოველდღე მოდიოდნენ მეზობლები საჩივრებით.

ერთი გაჰყვიროდა:—შენმა აბეზარმა ჩვენს კნუტს კინალამ თვალი გამოთხარა!

მეორე ჩიოდა:—შენმა მამალმა ჩემი კრუხი საბუდრიდან ააგდო და კვერცხები დამილეწა.

მესამე მოთქვამდა:—მოვიდა შენი ელამი და წიწილები დამიფრთხო, საკენკით სავსე ვარცლი გადააბრუნა და წყალი დამიღვარა.

ბოლოსდაბოლოს დედაბერს, ამდენმა საჩივრებმა თავი მოაბეზრეს, ვეღარ მოითმინა და მამალს გამოუცხადა:

— გასწი, დამეკარგე, შენი ჭაჭანება არ იყოს ჩემს ეზოში!

ეწყინა მამალს, გაიბღინძა და წამოიყვლა:

— რა მოხდა, წავალ, გგონია, უშენოდ ვერ ვიცხოვრებ?!

და იმ დღიდან დაიწყო მამალმა ცალკე ცხოვრება. დღისით სოფელში დასეირნობდა—საკენკს შოულობდა, ღამით კი თივის ზვინში იძინებდა.

ერთხელ დილაადრიან ერთი მსუქანი მელა გამობრძანდა სანადიროდ. ბიჭოს რასა ხედავს, თივის ზვინი დგას და ზვინში მამალი მიყუჟულა. გაეხარდა მელას, მიეპარა, ჩაავლო პირი მამალს და ტყისაკენ გააქანა.

ამ დროს დედაბერის ერთი მეზობელი თივას ფარცხავდა. გლეხმა შეხედა რომ პირში მამალგაჩრილი მელა ტყისკენ მიცუნცულებდა. მოიმარჯვა ჯოხი და მელას გამოუდგა.

— გაუშვი მამალს პირი, შე ოხერო...

უცბათ ეშმაკმა მამალმა მეორე თვალიც მოჭუტა და მელას ყურში ჩასჩურჩულა:

— როგორ ითმენ ამდენს ძელა, ვერა ხედავ გლეხი სხვის საქმეში ეჩრება. მე ხომ მისი მამალი არა ვარ, დედაბრისა ვარ!

უნდოდა მელას შეჩერებულიყო და გლეხისათვის დაეყვირა, მაგრამ გადაიფიქრა და გზა ცუნცულით განაგრძო.

დედაბრის მეზობელი კი მისდევდა და მისძახოდა:

— მომეცი, წითურო, მამალი, მომეცი...

მამალიც არ დაწყნარდა:

— რასა შვრები მელა, გესმის როგორ გლანძღავს, შენ კი ჩუმად ხარ, თავისთვის ვუნდივარ...

ეს კი ვეღარ მოითმინა მელამ. შეჩერდა, მობრუნდა გლეხისაკენ და გაბრაზებულმა წყევლა-კრულვით მიაძახა:

— რას გადამეკიდე, რას ეჩრები სხვის საქმეში. შენი მამალი ხომ არ არის, დედაბრისაა, გირჩევნია შენ თვითონ მოაშენო ქათმები და მამლები და მერე ჩვენ, პატიოსან მელიებს გვიყვირო.

ისე გაერთო მელა ამდენი წყევლა-კრულვით, რომ მამალიც გადაავიწყდა. ბოლოს გაახსენდა მამალი. მიიხედ-მოიხედა, მაგრამ მამალი არსად ჩანდა.

გაწბილებული მელას ამბავი მთელ სოფელს მოედო. სოფლელები იცინოდნენ და გაიძახოდნენ:

— მამალიც ამას ქვია, როგორ მოატყუა ცბიერი მელა...

გაბრაზებულმა მელამ ფიცი დასდო, რომ ადამიანს არასოდეს გამოელაპარაკებოდა მას შემდეგ მელიებს ასე დასჩემდათ; როგორც კი დაინახავენ ადამიანს, მოიბრუნებენ დრუნჩს და განზე გარბიან.

ტუნგო

პიონერხელმძღვანელმა ბანაკიდან ნავსადგურის დასათვალიერებლად წაგვიყვანა. ბევრ ჩვენგანს ნახული ჰქონდა ნავსდგური, ზოგი—გემითაც იყო ნამგზავრი, მაგრამ „თავით ფეხებამდე“ ხმელეთზე გამოსული გემი კი ჯერავის გვენახა.

ზღვაზე როცა მიცურავს, ან ნახატზე როცა ვუყურებთ, გემის მხოლოდ ზედა ნახევარს ვხედავთ თურმე; მეორე ნახევარი კი წყალქვეშ ყოფილა. შორიდანვე შევნიშნეთ ბუმბერაზი გემი, წინა ნაწილით ნაპირზე ქვიშაში შემოჭრილიყო და უზარმაზარი ცხვირი მაღლა აეშვირა.

გემის ირგვლივ ბავშვები ირეოდნენ და ცნობისმოყვარეობით ადევნებდნენ თვალს მეზღვაურთა გაცხარებულ მუშაობას. როცა დაგვინახეს, ჩამოგვეცალნენ, და პიონერხელმძღვანელმა მთელი ჩვენი რაზმი მოხუც მეზღვაურს წარუდგინა.

მოხუცმა დიდი ზეთიანი ფუნჯი, რომლითაც გემს ღებავდა, კასრში ჩააყუდა, ხელები ბრეზენტის წინსაფარზე შეიმშრალა და მოგვესალმა.

— გამარჯობათ, ამხანაგო მეზღვაურო, — შევძახეთ ჩვენ.

— პიონერბანაკიდან ხართ?! — თქვა მან და წინ წაგვიძღვა,—გაინტერესებთ რატომ გამოსულა ჩვენი გემი ხმელეთზე და რას ვაკეთებთ?..

მოხუცმა მეზღვაურმა გემის ცხვირს შემოუარა და მეორე მხარეს გაგვიყვანა. ხუთ-ექვს მეზღვაურს გემზე კიბე მიედგათ, ზედ ასულიყვნენ და მჭრელი საფხეკელებით ფხეკდნენ გემის ტანს, რომელსაც ათასგვარი ლორწოიანი ნიჟარა და წყალმცენარე მიჰკროდა.

— აი, ბავშვებო, — თქვა მოხუცმა მეზღვაურმა, — დროთა განმავლობაში გემი ასე დაიფარება ხოლმე ნიჟარებითა და წყალმცენარით. ამით შეიძლება წყალქვეშა ნაწილი დაზიანდეს, დაიშალოს და გემის ცურვაც შეაფერხოს. გაფხეკვის შემდეგ ტუნგოს ზეთით შევღებავთ და ისევ ზღვაში შევცურდებით...

ბავშვებო, ვის გინახავთ ტუნგო?! — შეგვეკითხა მეზღვაური.

შემდეგ ჩვენ საგანგებოდ ვესტუმრეთ მეზობელ კოლმეურნეობას ტუნგოს პლანტაციების დასათვალიერებლად და გაოცებული დავრჩით იმით, რომ თურმე ამ მწარე, უგემურ ნაყოფს ძვირფასი ზეთი ჰქონია. ახლა კი მეზღვაურს ვერაფერი ვუპასუხეთ.

— ტუნგოს ზეთი, მაღალხარისხოვანი ტექნიკური ზეთია, — დაიწყო მოხუცმა, — დიდი გამოყენება აქვს საზღვაო და საავიაციო მრეწველობაში. ტუნგოს ზეთით შეღებილი გემის ქვედა ნაწილი და თვითმფრინავები წლების განმავლობაში არ ატარებენ წყალსა და ჰაერს.

მოხუცმა მეზღვაურმა, რომელსაც მთელი სიცოცხლე მოგზაურობაში გაეტარებინა, გვიამბო, რომ რამდენიმე ათეული წლის წინად საქართველოში ტუნგო არც ყოფილა. ტუნგოს ზეთი უცხო ქვეყნებიდან მოჰქონდათ თურმე ოქროს ფასად. ტუნგო საქართველოში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გაავრცელეს შავი ზღვის პირზე.

მოხუც მეზღვაურს მადლობა გადავუხადეთ და იმ დღესვე გადავწყვიტეთ დაგვეთვალიერებინა ტუნგოს პლანტაციები. განზრახული შევასრულეთ: ტუნგოს ფოთოლი ლეღვის ფოთოლსა ჰგავს, ფართეა და მუქი მწვანე. ნაყოფი მანდარინის ტოლაა, შიგნით სამიდან ხუთამდე თესლი აქვს. აი, სწორედ ამ თესლის გამოხდით მიიღება ზეთი, რომლითაც მოხუცი მეზღვაური გემს ღებავდა.

გ. მინდაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობრები

1. ერთხელ დათვი და კურდღელი გაყინულ მდინარეზე სრიალში ერთმანეთს შეეჯიბრენ.

სრიალის დროს კურდღელი დაეცა და თათი დაიშავა.

2.—მიშველე, ძმობილო, — დაუძახა მან დათვს.—ჩვენ ხომ ერთმანეთს ვეჯიბრებით და თუ გიშველე, როგორღა გაჯობებ! — მიუგო დათვმა და უფრო სწრაფად გასრიალდა.

3. გასწრებას დახარბებულ დათვს უცბად ყინული ჩაუტყდა და მდინარეში ჩავარდა.

— არიქა, მიშველე, კურდღელო, ვიხრჩვები! — ბურდღუნებდა შეშინებული დათვი.

4. კურდღელმა დათვის ბელღების და ბაჭიების დახმარებით დათვი მდინარიდან ამოიყვანა და უთხრა:

— დაიხსომე, დათუნა! ნათქვამია: „ძმა ძმისთვისო — შავი დღისთვისო!“

პასუხები

ჟურნალ „**დილა**“ № 6-ში მოთავსებულ გასართობისა:

ამოცანა

გივის ჰქონდა 8 თხილი, ნელის კი—11.

ამოცანა-გასართობი

თავისუფალ პირველ უჯრედებში ჩაიწერება შემდეგი სიტყვები:

ნერგი, ცარცი, ბურთი, მერხი, ვარდი.

მეორე უჯრედებში ჩაიწერება:

თევზი, თვალი, თაფლი, თერგი და **თუნგი.**

ჟურნალ „**დილა**“ № 7-ში მოთავსებულ ამოცანისა:

ნუცას სულ სამი დედოფალა ჰყავდა.

ჟურნალ „**დილა**“ № 10-ში მოთავსებულ გასართობისა:

ხილის ბაღი

ვასიკომ **და** დალიმ **ვაახარეს 18 ნერგი.**

3 62/156
ГОСПУБЛИЧ Б-КА

ირაკლი აბაშიძე

ირინეს გაკვირვება

ჩიტს ხომ ქორის ეშინია!
გედი არწივს ემალება;
მგელს ხომ ცხვარი ტყეში მიაქვს?
შველი დათვს არ ენანება!
ტეის ფრინველი ფრინველს ერჩის,
ეველა მხეცი ერჩის მხეცსა;
ეველა ჩიტი, ეველა მხეცი
ხომ გაურბის ერთმანეთსა?!
ეველა ჩიტი, დათვი, მელა
ტყეებშია გაფანტული,
მაშ, სურათზე ერთად ეველა
როგორ არის დასატული?!

ნახატი ალ. გეფხვაძისა

ყდაზე: „გილოცავთ აპალ წელს"—ნახატი ალ. გეგოლაშვილისა

პასუხისმგებელი რედაქტორი რევაზ მარგიანი. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ეკ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, თ. თუმანიშვილი, მაყვ. მრევლიშვილი, ი. სიხარულიძე, ნ.ფანაფკოშვილი, შ. ცხადაძე.

ДИЛА—ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ ГРУЗИИ № 12, Декабрь 1950 г. Тбилиси, Ленина 14. Изд. „Комунисти"
გამომცემლობა „კომუნისტი". რედაქციის მისამართი: თბილისი ლენინის 14. 8 სართ.ტელ. 3-37-38 გამომცემლობის შეკვ. №118 სტამბის შეკვ.
№ 1447|2661 ტირაჟი 7000 უე 17074 ფასი 5 მან. ტექსტი აწყობილია ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის" სტამბაში,
ყურნალი დაბეჭდილია ოფსეტის სისტემის მანქანაზე „ზარია ეოსტოკას" სტამბაში, თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 42.